ცნობის ფურცელი

№ 1836 ხუთშაბათი, 13 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1836

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვაჩნაძის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდის, საღამოთი 7—8 საათ. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ.)

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.
ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ქ. სიღნაღში
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა კლინიკის ასისტენტი
ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი

მიიღებს ზაფხულის განმავლობაში 20 აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპყრობილ ავადმყოფთ. (15—4)

ქ. გორში,
ექიმი კონსტანტინე ლაზარის ძე
ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ ბიძიანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. ბიძიანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. კ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. ბიძიანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 სათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი და ნერვებისა სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ნ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. მ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინამეილის, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. წარსულ კვირაში პალატას სჯა ჰქონდა იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერი იყო არჩევანი ნაციონალისტთა დეპუტატის სივეტონისა, რომელმაც სძლია რადიკალ მეზიურერს. საარჩევნო პრაქტიკის მხრივ რომ შევხედოთ, ეს ინციდენტი პრინციპიალურ მნიშვნელობას არ არის მოკლებული; მეორეს მხრივ, მეზიურერი ერთი საუკეთესო წევრი იყო წარსულ პარლამენტში და, რასაკვირველია, ყველა მემარცხენე დასის ინტერესი მოითხოვს, რომ ის დარჩეს დეპუტატად, თუ კი ეს მოხერხდა. კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა არჩევანთა სისწორის შემოწმება, სივეტონის არჩევანი კანონიერად სცნო, მაგრამ პალატის მემარცხენენი მაინც ცდილობენ არჩევანის მოშლას. ბერტომ, რადიკალმა, პალატას წინადადება მისცა, დანიშნეთ გამოძიება „საფრანგეთის სამშობლოს ლიგის“ საარჩევნო ხრიკების გამოსაძიებლადო (სივეტონიც ამ ლიგის კანდიდატია). ბერტომ აღნიშნა, რომ ლიგამ არა თუ გამოძიება მოახდინა ამომრჩეველთა პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ, მან აფიშებიც კი გააკრა, რომელშიაც გამოცხადებული იყო, რომ მეზიურერის მომხრეობა საფრანგეთის მტერ სახელმწიფოთა კანდიდატის მომხრეობააო. ბერტოს აზრით, ამგვარი ცილისწამება ყოვლად შეუწყნარებელია, როგორც საარჩევნო საშუალება და ამისათვის სივეტონის არჩევა უკანონოდ უნდა ჩაითვალოსო. როდესაც სივეტონს სიტყვა მისცა თავმჯდომარემ, მან განაცხადა, რომ ის აფიშა, რომელზედაც ბერტო ლაპარაკობს, სხვა ნაციონალისტთა კანდიდატებმაც გააკრეს, მაგრამ ამას არ დაუშლია, რომ ისინი დეპუტატებად დაემტკიცებინათო. ამას გარდა, თვით მეზიურერი არა ნაკლებ სასტიკად მიხსენიებდა თავის აფიშებში და ერთგან „პატრიოტიზმის პამპულა“ და „შინაური ომის კანდიდატი“ მიწოდაო. ამ სიტყვების წარმოთქმისათანავე მემარცხენეთ საშინელი ტაშის ცემა ასტეხეს მეზიურერის თანაგრძნობის ნიშნად. ამის შემდეგ ბერტოს წინადადებით პალატამ განკიცხვა გამოუცხადა „საფრანგეთის სამშობლოს ლიგას“ მის საარჩევნო ხრიკების გამო, მიუხედავად მემარჯვენეთა ცხარე პროტესტისა. 278 ხმით, წინააღმდეგ 244 ხმისა, პალატამ გამოძიება დანიშნა სივეტონის არჩევის შესახებ. კენჭის ყრის რეზულტატს მემარცხენენი დიდის ტაშის ცემით შეეგებნენ. სხდომის შემდეგ პალატის კულუარებში რადიკალებს და ნაციონალისტებს შორის ცხარე ბაასი ასტყდა. მეზიურერმა და სივეტონმა ერთმანეთი დუელში გამოიწვიეს.

გამოჩენილი სოციალისტი მილიერანი, როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი, თავის პარტიას დაუბრუნდა. სამი წელიწადია, რაც მან ვაჭრობის მინისტრობა იკისრა ვალდეკ-რუსსოს კაბინეტში. მიუხედავად საშინელის მოძრაობისა, რომელიც გამოიწვია ამ ფაქტმა თვით სოციალისტთა შორის, იგი ბოლომდე დარჩა სამინისტროში. ეს შემთხვევა პირველი მაგალითი იყო, რომ სოციალისტმა მონაწილეობა მიიღო ბურჟუაზიულ კაბინეტში. სოციალისტთა პარტია ორად გაიყო. ერთი ნაწილი (გედისტები და სხვ.) მავნებლად სთვლიდა მილიერანის სამინისტროში შესვლას და ამტკიცებდა ეს ჩვენი პროგრამის უარყოფაა და მუშათა ღალატიო. ერთი სოციალისტი სამინისტროში ვერას გააკეთებს, იგი ტყვილად პრესტიჟს უტეხს სოციალისტებს მით, რომ მონაწილეობას იღებს ბურჟუაზიულ კოლლეგიურ დაწესებულებაში და თვითონ კი თავისუფლად ვერ იმოქმედებსო. სოციალისტთა პარტიაში, მუშებში, ამით რევოლიუციის, ოპპოზიციის გრძნობა და სული სუსტდებაო.

მუშა ხალხს იმედი ებადება, რომ მთავრობის წყალობით მიაღწევს თავის იდეალს და მისი ხელშემაყურებელი ხდება, იმის მაგიერ რომ მხოლოდ ერთად-ერთი რევოლიუციის თავის იმედი ჰქონიოსო. მეორე ნაწილი მილიერანის მომხრე იყო და პარლამენტარულ მოღვაწეობას არა თუ უარს არა ჰყოფდა, პირიქით, ერთ საუკეთესო იარაღად მიაჩნდა დღევანდელ აუცილებელი რეფორმების შესასრულებლად, რომელნიც თავის მხრივ ხელს შეუწყობენ პროლეტარიატის ორგანიზაციას და აუცილებელ თვით ცნობიერების გავრცელებას. „ან სულ, ან სულ არაფერი“, —ეს ფორმულა მათ არ მიიღეს და მილიერანს მხარი დაუჭირეს, როგორც პარლამენტში, ისე გარეთ. რაც შეეხება კერძოდ მილიერანის „შემთხვევას“, მათ ისე შეხედეს, როგორც ერთ-ერთ ეტაპს დემოკრატიის განვითარების ისტორიაში, როგორც „ცდას“. იტალიელმა სოციალისტმა ჰენრიკო ფერრიმ სთქვა: „რესპუბლიკის ჰაერი აუცილებელია სოციალისტთა ფილტვებისთვისაო“, და სწორედ ასეთი მოსაზრებით ამართლებენ, სხვათა შორის, მილიერანის შესვლას სამინისტროში. როდესაც ვალდეკ-რუსოს სამინისტრო შესდგა, მაშინ რესპუბლიკა განსაცდელში იყო და ნუ თუ ჩვენ, სოციალისტებს, მის გადარჩენაში მონაწილეობა არ უნდა მიგვეღოთ, ამბობდა ჟორესი, მილიერანის მეგობარი და მომხრე. ახლა მილიერანი ისევ თავის ძველ საქმეს შეუდგა და აპირებს განაგრძოს თავისი შრომა. მას უარი არ უთქვამს თავის პროგრამის არც ერთ მუხლზე. რასაც ამბობდა მინისტრობის დროს, ან უფრო ადრე, იმასვე იმეორებს ახლაც. ცოდვის შენანება პარტიის წინაშე ფიქრადაც არ მოსვლია. მისმა პარტიამ მეტად კარგად მიიღო მილიერანი და ბურჟუაზიულ გაზეთებს ეს ფრიად უკვირთ, ან უკეთ, სწყინთ, რატომ ცივად არ მიიღესო.

ოსმალეთი. შინაურმა მოუწყობლობამ ოსმალეთში უკიდურესობამდე მიაღწია. სულთანის ეჭვიანობა და წარმოუდგენელი თვით-ნებობა ერთის მხრივ და ხარისხის განურჩევლად მოხელეთა გახრწნილება,—აი უახლოესი მიზეზი იმ ანარხიისა, რომელიც ღრღნის ოტტომანის იმპერიას.

ამ დღეებში მთავრობამ გამოაცხადა განაჩენი ფუად-ფაშის შესახებ. სამხედრო საბჭომ, რომელსაც თავმჯდომარეობდა მარშალი რეუფ-ფაშა, იგი დამნაშავედ სცნო. მან წააქეზა რამდენიმე აფიცერი სარევოლიუციო მოქმედებაზე და აგრეთვე რამდენიმე თავისი მსახური, რომელნიც იარაღით ხელში დაეცნენ პოლიციას და სამი მოხელე დასჭრეს. ფუადს აჰხადეს ჩინები და ორდენები, გამორიცხეს სამსახურიდან და საუკუნოდ დაპატიმრება გადაუწყვიტეს. სულთანმა დაამტკიცა განაჩენი და საცხოვრებლად დამასკის [illegible] დაუნიშნა. დანარჩენი აფიცრებიც დამნაშავედ სცნეს, მაგრამ სულთანმა აპატია, რადგან ფუად-ფაშას მოუტყუებიათ და შეცდომაში შეუყვანიაო. ფუად-ფაშის კარგად მცნობი პირები ამტკიცებენ, რომ მას არავითარი რევოლიუციური პლანები არა ჰქონდაო. რაც შეეხება დაჭრილ პოლიციელებს, ესენი იყვნენ ჯაშუშები, საიდუმლო პოლიციის უფროსისგან მიგზავნილნიო. მეტის-მეტი გულ-მოდგინება მათი იქამდე მივიდა, რომ ერთი მათგანი ქვითკირის კედელზეც კი გადაძვრა ბაღში, რათა უკეთ ყური ეგდო ფუად-ფაშისათვისო.

ეს ახსნა შეიძლება მართალიც იყოს, რადგან სულთანის კარზე ინტრიგები, ბეზღება და ცილისწამება ჩვეულებრივი იარაღია მეტოქესთან საბრძოლველად. ახალგაზდა ოსმალნი ცდილობენ თავის სამშობლოს ბედის გამობრუნებას, მაგრამ მათი რიცხვი მეტად ცოტაა და, რადგან სტამბოლის სულის შემხუთავ პირობებში ყოვლად შეუძლებელია მოქმედება, ამიტომ ისინი იფანტებიან ევროპაში და იქიდან ცდილობენ მოქმედებას. მაგრამ ოსმალეთის მთავრობა იქაც არ ასვენებს მათ და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, ძალით თუ ნებით, ხელი აიღებინოს ოპპოზიციურ მოქმედებაზე. ამ აზრით იგი დრო გამოშვებით თავის ემისსარებს ჰგზავნის ხოლმე შიგ პარიზში, ჟენევაში და სხვაგან, სადაც ეს ახალგაზდები არიან თავმოყრილნი. ემისსარი ცდილობს მათს დაბრუნებას, ჰპირდება სულთანის წყალობას, კარგ ადგილებს, და სხ. ერთის სიტყვით, ყოველგვარ საშუალებას ხმარობს მათ დასამშვიდებლად. თქმა არ უნდა, სულთანი და მისი ემისსარები ვერასოდეს ვერ გამოსძებნიან ისეთ საშუალებას, რომ ახალგაზდობაში უკმაყოფილობა მოსპონ.

ახალი ამბავი

✦ შაბათს, 15 ივნისს, კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე საზაფხულოდ **კოჯორში მიდის.** შაბათსვე გადადის კოჯორში მთავარმართებლის კანცელარია.

✦ ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის უკანასკნელ კლასში **ეგზამენები** უკვე დასრულდა. იმ მოსწავლეთა სიას, რომელთაც გაათავეს გიმნაზია, ამ დღეებში დავბეჭდავთ.

✦ ამა 1902 წლის 16 მარტიდან უმაღლეს მთავრობის განკარგულებით რკინის გზებზედ **ახალი ტარიფი** იქმნა შემოღებული სასოფლო-სამეურნეო იმ ნაწარმოებთა გასაზიდად, რომელსაც უფრო საჭიროებენ სასოფლო მეურნეობაში. ამ ტარიფით, მაგ., დაკლებულის ფასით შეიძლება გაგზავნა სათესლე ხორბლისა, ცხენებისა და სხვ. ამ საქონლის ერთი ადგილიდან მეორემდე გასაგზავნად საჭირო იქნება განსაკუთრებული მოწმობანი, რომელიც უნდა მიიღოს გამგზავნელმა სხვა-და-სხვა დაწესებულებისაგან. ასეთის მოწმობების ბლანკებს დაწესებულებებს დაურიგებს მიწად-მოქმედების სამინისტრო. გუშინ, 12 ივნისს, სამინისტრომ ამის შესახებ უკვე აცნობა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ სასწავლებლის კომისის წევრნი, განიხილა წესდება ამიროვისა და მისის დის სახელობის **სტიპენდიებისა**, ეს სტიპენდიები დაარსებულ უნდა იქმნას ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში. პროექტის განხილვის დროს კამათი გამოიწვია 1 მუხლმა, სადაც გარკვევით არ არის განმარტებული, რამდენი სტიპენდია უნდა დაწესდეს მათს სახელობაზე. ბოლოს სხდომამ გადასწყვიტა 4 სტიპენდია დაარსოს ამიროვისა და მისის დის ურდუბეგოვის სახელობაზე. წესდების დანარჩენი მუხლები შეუცვლელად იქმნა მიღებული.

✦ დღეს, 13 ივნისისათვის დანიშნული სხდომა ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიისა სხვა დროისათვის **გადაიდვა**, რადგანაც დღეს საბჭოს სხდომა უნდა მოხდეს.

✦ გუშინ-წინ, 10 ივნისს, ქალაქის გამგეობას უსახელო საზოგადოების წარმომადგენელთან ხელ-ახლა ჰქონდა მოლაპარაკება **ელექტრონის** ტრამვაის პროექტის გამო. როგორც ვუწყით, გამგეობამ დაიწუნა ეს პროექტი. საზოგადოების წარმომადგენელმა სთხოვა გამგეობას ეჩვენებინა პროექტის ნაკლულევანებანი. სხდომაზე დამსწრენი ვერავითარ გამორკვეულს გადაწყვეტილებას ვერ დაადგნენ. ამიტომ გამგეობამ გადასწყვიტა სპეციალისტებთან ერთად შეუდგეს პროექტის ხელ-ახლად განხილვას და იმის ნაკლულევანებათა აღნიშვნას.

◆ სამშაბათს, 11 ივნისს, სხდომა ჰქონდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. სხვათა შორის საბჭომ გადასწყვიტა გადასდოს 300 მან. **სტატისტიკურ ცნობების შესაკრებად** გორის მაზრაში. სტატისტიკოსი ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი ამ დღეებში მიემგზავრება გორის მაზრაში.

◆ ბათუმის სამოსწავლო ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა, რომ ბათუმის ქალაქის სასწავლებელში შემოღებულ იქმნას ორი ახალი **ენა**—გერმანული და ფრანგული.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ განიხილა ზოგიერთების საჩივარი იმაზე, რომ მათ არ მისცეს ადგილები გლდნის ხეობაში, რათა **ოქროს მადანი ეძებათ**, დაადგინა, რომ კანონიერად არ მოქცეულან და წინადადება მისცა კავკასიის სამთო სამმართველოს, დაურიგოს დასამუშავებლად ადგილები.

◆ კავკასიის სამთო სამმართველოს მინდობილობით, სამთო ინჟენერი მარგელიუსი შეუდგა გეოლოგიურ გამოკვლევას გლდნის ხეობაში **ოქროს მადნის** ადგილების აღმოსაჩენად. ამ ჟამად იქ ორმოცი კაცი მუშაობს და ინჟენერისგან დანიშნულ ადგილებს სთხრის.

◆ ქალაქის თავის მოადგილემ წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად ქალაქის თვით-მმართველობის შუამდგომლობა, რომ ქალაქის ერთ-ერთ სასწავლებელს დაერქვას პოეტის ჟუკოვსკის **სახელი** და ამ სასწავლებელში დაიდგას პოეტის სურათი.

◆ როგორც გადმოგვცეს, მართლ-მადიდებლობის აღმადგენელ საზოგადოების **სვანეთის სკოლებში** ეგზამენები დაიწყება 20 ივნისიდან და დასრულდება ივლისის პირველ რიცხვებში. ამ საზოგადოების სკოლების ინსპექტორი ბ-ნი ევ. მამინაიშვილი ამ დღეებში სვანეთისაკენ მიემგზავრება.

◆ ამ დღეებში ტფილისის მეეტლეებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, ქალაქი გაყოფილ იქმნას რამდენსამე ნაწილად და ამის და-მიხედვით ახალი **ნიხრი** დაწესდეს ეტლებისათვის. მეეტლენი ეხლანდელს ნიხრით არ არიან კმაყოფილნი. კომისიამ გუშინ წინ განიხილა ეს განცხადება და შესაძლებლად სცნო მხოლოდ ქალაქის ზოგიერთ ნაწილში მეეტლეთათვის ნიხრის მომატება.

◆ პარასკევს, 14 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და კომისიისა სახელოსნო სასწავლებლისათვის ახლად შემუშავებულ წესდების **პროექტის განსახილველად**.

◆ დღეს, 13 ივნისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს **სხდომაზე** დანიშნულია განსახილველად 20 საქმე, რომელთა განხილვაც წინა სხდომაზე საბჭოს ვერ მოასწრო.

◆ **ახალქალაქიდან გვატყობინებენ:** აქეთაც შეუდგნენ ვენახების წამლობას. უწამლეს უმთავრესად ს. ჭალისა, ხიდისთავისა და ახალქალაქის ვენახებს, რასაც კარგი შედეგი მოჰყვა. პურის მოსავალს აქეთ კარგს მოელიან, ვენახებისას ნაკლებს, რადგანაც ვაზის ახლად გამოსული ფოთოლი აპრილის შუა რიცხვებში ყინვა-სიცივემ დასძრა და გააფუჭა. ხიდისთავსა, ახალქალაქსა და სხვ. სოფლებში ამერიკულ ვაზის გაშენებასაც შეუდგნენ. ამ ახალმა ვაზმა კარგად იხარა; ამით წახალისებული ხალხი მოწადინებულია ჩვენებურ დაავადებულ და სხვა-და-სხვა სენისაგან აოხრებულ ვენახების გაკაფვას და იმის ნაცვლად ამერიკულ ვაზის გაშენებას. ამერიკულ ვაზით თითქმის 300 დესეტინა გააშენეს. ფუთი პური აქეთ ღირს 1 მ. 20 კაპ., სიმინდი 90 კ., კართოფილი 1 მ. 50 კ., ერბო 8 მან. 50 კ. 10 მანეთამდე, ერთი კოკა ღვინო 16-დან 18-მანეთამდე. ფასების ასეთი გადიდება შარშანდელ მოუსავლობის ბრალია.

◆ ქალაქის გამგეობას და სამხედრო საავადმყოფოს გამგეთ უკმაყოფილება მოუვიდათ იმის გამო, რომ ქალაქმა მოსთხოვა საავადმყოფოს მილის წყლის დარჩენილი ფული 3,300 მან. ამაზე საავადმყოფოს გამგეობამ განაცხადა, რომ წყლის მილი გასქდა და წყალი დიდვარა, და თუმცა საავადმყოფოს გამგეობამ ამაზე აცნობა ქალაქის გამგეობას, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ ისურვა მილის გაკეთება, რის გამოც საავადმყოფო უარს ამბობს ამ დარჩენილს 3,300 მან. გადახდაზე ასევე ასაბუთებს ფულის გადაუხდელობას საინჟინერო სამმართველოც.

◆ ტფილისის პირველ გიმნაზიაში კურსდამთავრებულებთან ერთად წელს დასამთავრებელი ეგზამენები დაიჭირა ბორჩალოს მაზრის სოფლის ერთმა მასწავლებელმა გ. ამ მასწავლებელს გორის საოსტატო სემინარიაში დაუმთავრებია სწავლა და შემდეგ თითონ მომზადებულა გიმნაზიაში ეგზამენის დასაჭერად და მართლა ჩინებულადაც დაუჭერია. ეს ყმაწვილი ხარკოვის უნივერსიტეტში მიდის საექიმო ფაკულტეტზე შესასვლელად. ეს პირველი მაგალითია ჩვენში, რომ სოფლის მასწავლებელმა მოისურვოს და შევიდეს კიდეც უნივერსიტეტში.

◆ წყალში დარჩობისაგან გადამრჩენელი საზოგადოება აცხადებს, რომ უშიშარ ადგილებად მტკვარში ბანაობის დროს მიჩნეულია: შემდეგი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე: 1) დიდუბის ბორანთან, 50 ნაბიჯი ბორანს ზემოთ და ქვემოთ: 2) ვერის ხიდის ზემოთ; 3) ამავე ხიდს ქვემოთ; 4) პაპკოვის წისქვილთან, იმ ადგილზე, რომელიც წისქვილსა და მეთევზის ივანე კოტოევის განსაცდელისაგან გადამრჩენელთა სადგურია; 5) საზამთროს მოედანთან; 6) ორთაჭალის ხიდთან ამ ხიდს ზემოთ და ქვემოთ 50 ნაბიჯის მანძილზე. მტკვრის მარცხენა ნაწილზე:

1) დიდუბეში, იმ დაღმართან, რომელიც მოედნიდან ჩადის, ნავამდე და წუმწუმის ქარხნის პირდაპირ; 2) მუშტაიდში, სადაც რკინის გზის წყლის მილი იწყება, 50 ნაბიჯის მანძილზე ზევით და ქვევით; 3) იმ ადგილთან, სადაც ობსერვატორიისა და იუნკერთა სასწავლებლის შუა მიმავალი გზა ჩადის. 4) ათუექრის ქუჩის ჩასავალთან; 5) სკონტროლო პალატის უკან; 6) ნიკოლოზის ხიდსა და ამ ხიდს ზემოდ მდებარე პირველ წისქვილს შორის; 7) ხიდს ქვემოთ მარცხნივ, მადათოვის კუნძულის ნაპირთან; 8) ვორონცოვის სახლსა და წყალთან გადასასვლელს შუა; 9) დაღმართთან გოგილოს აბანოს მახლობლად; 10) ნავთლუღში, მტკვარში ჩასავალთან.

საბანაოდ საშიშ ადგილებად მიჩნეულია. მტკვრის მარჯვენა მხარეს: 1) ვერაზე, წუმწუმის ქარხნის ქვემოთ, ჩასავალთან; 2) ის ადგილი, სადაც მდ. ვერა მტკვარს უერთდება; 3) ვერის ხიდის მახლობლად; 4) იმ ჩასავალთან, სადაც ძველი სახაზინო თეატრი იყო; 5) ვანქის ტაძრის პირდაპირ, იქ, სადაც კედელია გაყვანილი წყალში; 6) რიყიდან დაწყებული მნაცაკანის ხიდამდე (ორთაჭალაში). მარცხენა ნაპირზე: 1) დიდუბეში ბადინოვისა და შაქრუაშვილის ბაღების პირდაპირ; 2) იმ ჩასავალთან, რომელიც შერემეტევის ვიწრო ქუჩიდან მიდის; 3) დიტრიხის ლუდის ქარხნის ზემოთ; 4) ვეტცელის ლუდის ქარხნის პირდაპირ; 5) სულით ავადმყოფთა სამკურნალოს პირდაპირ; 6) თივის მოედნის ჩასავალთან; 7) გრენადერთა რაზმის ყაზარმების პირდაპირ; 8) იმ ჩასავალთან, რომელიც მნაცაკანის ხიდსა და თამამშევის წისქვილს შუაა. საშიშ ადგილებთან წითელი ბოძებია გამაფრთხილებელ წარწერებით.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში ფაბრიკის ქუჩის მცხოვრებლებმა ამ ქუჩის მოსაკირწყლავი ფული უკვე წარადგინეს ქალაქის გამგეობაში და ითხოვენ შეუდგნენ ქუჩის მოკირწყვლას.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილში მცხოვრებ ნიკოლოზ ერმოლაევს (14 წლის) 8 ივნისს ხელში ჰქონია გატენილი რევოლვერი, რომელსაც ათვალიერებდა თურმე. უეცრად რევოლვერი გავარდნილა და მოჰხვედრია მარჯვენა წარბში სპარსეთის ქვეშევრდომის შვილს ალექსანდრე ტუმასოვს, რომელიც მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ. ექიმების შემოწმებით ტუმასოვის ჭრილობა საშიში არ არის.

რუსეთის ქრონიკა

◆ ამას წინად რუსეთის რკინის გზათა წარმომადგენლებს კრება ჰქონდათ. 5 მაისის სხდომაზედ ლაპარაკი ჩამოაგდეს იმაზედ, რომ იმ თვალით ავადმყოფთ, რომელნიც სამკურნალოებიდან შინა ბრუნდებიან, ნება მიეცეთ გზებზედ შეღავათით იმგზავრონ. კრებამ, განიხილა რა ეს საქმე, დაადგინა დასტოვოს თვალის ავადმყოფთათვის წინანდელი დაკლებული ტარიფა. მხოლოდ ავადმყოფებმა სადგურებზედ უნდა წარადგინონ მოწმობანი, რომ სამკურნალოებიდან არიან გამოწერილნი.

◆ მომავალ სამოსწავლო წლიდან რუსეთის რკინის გზების სხვა-და-სხვა სადგურზედ დაარსდება ახალი სასწავლებლები. ამ სასწავლებლებში აგენტებს მოამზადებენ რკინის გზისათვის. არსებულ სასწავლებლებში ამზადებენ მხოლოდ აგენტებს სატეხნიკო საქმეებისათვის (მემანქანებს, ხელოსანთ და სხვებს). ახალ სასწავლებლებში ყოველ გვარ აგენტებს მოამზადებენ: კანტორის გამგეებს, კონდუქტორებს და სხვებს.

◆ გზათა სამინისტროს 28 საშუალო სარკინისგზო სასწავლებელი აქვს. ამ სასწავლებლებზედ სამინისტრო ჰხარჯავს წელიწადში ნახევარ მილიონ მანეთს. ამას გარდა გზათა სამინისტრო ინახავს 177 დაბალ სასწავლებელს, აქედგან 142-ს საერო განათლების სამინისტრო განაგებს და 35-ს იწმიდესი სინოდი.

პრესსა

რამდენისამე წლის წინად რუსეთის თავისუფალ საეკონომიო საზოგადოებამ მეტად საინტერესო გამოკვლევის შემუშავება და ბეჭდვა დაიწყო. ეს არის სახალხო განათლების საქმის მდგომარეობა რუსეთში. საზოგადოებამ უკვე გამოსცა ოთხი ვეებერთელა ტომი, რომლებშიაც მოთავსებულია დიდათ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ცნობა-მასალა იმის შესახებ, თუ რა პირობებშია დღეს, რა პირობებში იყო გუშინ და პირობებში უნდა იყოს სახალხო განათლება რუსეთის იმპერიაში.

„პეტერბ. ვედომ.-მა შეაჩერეს მკითხველის ყურადღება მე-IV ტომზე, სადაც, სხვათა შორის, სტატისტიკური მასალაა დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ რამდენად ნაკლებია რუსეთში სკოლების რიცხვი სასწავლელ ბავშვთა რიცხვთან შედარებით. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ

> სასწავლელ ბავშთაგან რჩება უსწავლელად: თითო მაზრაში—20.795 ბავში, თითო ქალაქში —2198. მთელს რუსეთში-კი უსწავლელი რჩება: მაზრებში—15.720.828, ხოლო ქალაქებში—2.070.244 ბავში.

გაზეთი სამართლიანად ამბობს, რომ 18 მილიონი უსწავლელი ბავშვი ამტკიცებს მეტის-მეტ ჩვენს ჩამორჩენასაო; და სანამ ასეთი მდგომარეობა იქნებაო, დასძენს გაზეთი, არავითარს გაუმჯობესებას არ უნდა მოველოდეთო.

⁂

მკითხველს ეხსომება, რომ ამას წინად ჩვენის გაზეთის 1796 №-ში დაბეჭდილი იყო გ. სიტყვას წერილი სომეხ-ქართველთა და საზოგადოთ კავკასიელ ერთა ერთობის შესახებ. ამ დღეებში ეს წერილი გადათარგმნა და დაბეჭდა სომხურმა გაზეთმა „მშაკმა“ (115 №)და წინ შემდეგი სიტყვები წარუმძღვარა:

> „სომეხ-ქართველთა ურთიერთობას აქვს თავისი ცხოვრებითი თანამედროვული მნიშვნელობა. როგორც სჩანს, ამ სამძიმო საკითხის გადაწყვეტის პრეტენზია თავს უდგია ველიჩკოსებურს რამდენსამე რუსის პუბლიცისტს, რომლისათვისაც სიმართლეს, ჭეშმარიტებას ის სახე და საზომი არა აქვს, რაც უნდა ჰქონდეს მთელის ქვეყნიერების თვალში. არა, ასეთის ნაზის საკითხების განსაზღვრა კაცი-ჭამია შუამავალთ არ უნდა ჩაუვარდეს ხელში. უკეთუ სომეხ-ქართველთა ურთიერთობას აქვს ისეთი მხარეები, რომელთაც სამართლიანი და კმასაყოფელი განსაზღვრა უნდა უპოვონ, თვითონ ქართველების და სომხების საქმეა ეს. ჩვენ და ჩვენი მეზობლები უნდა ვცდილობდეთ ერთმანეთის გაგებას, სერიოზულის სახით გაგებას, ეროვნების მიმართ წინასწარ მსჯელობის, შოვინისტურ აზრების უკუგდებით. „მშაკი“ თავის დაარსებიდანვე ამას ქადაგებდა და ქართველთა მოწინავე ინტელიგენციის წმინდა წყლის ნაწილიც ამისივე მოწადინე იყო. ქართულ პრესაში, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში იჩინა თავი ისეთმა მოვლენებმა, რომლებიც გვიჩვენებდა, რომ ველიჩკოს და მის ამხანაგთა სულს მოეჯადოვებინა მრავალი ქართველთა მოღვაწე. მაგრამ ეს მოჯადოვება ღვთის მადლით, დროებითი იყო და სამართლიანობის ნამდვილი გულის ხმის დასაწყისი ეხლა უფრო და უფრო ხშირად იჩენს თავს ქართულ პრესაში. ჩვენ ყოველთვის სიხარულით ვეგებებით ისეთს, თუმცა დაგვიანებულს, მშვენიერ, წერილს, რომელიც ეხლახან დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“...

თეატრი

ქ. სოხუმი. ქართულ დრამატიულ დასის არტისტებმა, ბ-ნ გუნიას მეთაურობით, ჩვენ ქალაქში სამი წარმოდგენა გამართეს. პირველი 2 ივნისს კლუბის დარბაზში იყო; წარმოადგინეს „ძალა აღმართსა ხნავს“. თუმცა ამ დღეს ქალაქის ბაღში საქველ-მოქმედო ბაზრით სეირნობა იყო, მაგრამ ხალხი წარმოდგენას მაინც ბლომად დაესწრო. მეორე წარმოდგენა 3 ივნისს გაიმართა, ითამაშეს „პირველი ბუზი“ და „თაგვის ბრალია“. სამსავე წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. საზოგადოება დიდად მადლობელი დარჩა დასისა, რომ ამ ჩვენ მივიწყებულ ქალაქსაც ადირსა წარმოდგენები. მადლობა საზოგადოებამ დასს გადაუხადა ვახშმის გამართვით, რომელმაც დილამდე გასტანა.

ფრ. გადელია

დაბა-სოფლები

დ. სურამი. მეაგარაკენი დღითი-დღე გვემატებიან. კერძო მეაგარაკეთა გარდა უკვე გვეწვივნენ მეოთხე მსროლელთა ბატალიონი, ერთი პოლკი და იუნკერთა სკოლის მოსწავლენი. სახლის პატრონნი, რასაკვირველია, სიხარულით ეგებებიან სტუმრებს. სიმართლე უნდა გითხრათ, რომ აქაური სახლის-პატრონნი მამა სისხლად არ აქირავებენ სადგომებს. სამ კარგ და სუფთა ოთახს, მაგალითად, შვიდ თუმნად იშოვნით საზაფხულოდ. არც სურსათი ღირს ძვირად. პირველის ხარისხის ხორცი გირვანქა 10 კაპეიკად იყიდება, პური $3^{1}/_{2}$ კაპეიკად, ასი კვერცხი 1 მან. 5 კ. ფასობს. სასტუმროს ნომერი 50 კაპეიკიდან 2 მანეთამდეა. ამას გარდა რეზინის თვლებიან ეტლებსაც მრავლად შეხვდებით ეხლა ჩვენში.

სურამში არსებობს სამკითხველო. აი ამ სამკითხველოს შესახებ „ცნ. ფურცლის“ მე-1828 ნომერში ეწერა, რომ იგი უვარგისია, ერთ ოთახშია მოთავსებული, უსუფთაოდ ინახება და წიგნები და ჟურნალ-გაზეთები არ მოეპოვებაო. არ ვიცით, კორესპონდენტს დაუთვალიერებია თუ არა სამკითხველო, ეს კი იმისი ნაამბობი სიმართლეს მოკლებულია. სამკითხველო ერთში კი არა, სამ ოთახშია მოთავსებული და არც უსუფთაოდ ინახება იგი. ამ თვის ოთხში სამკითხველო ახლად იქმნა შეკეთებული, გააკრეს ახალი შპალერი და კარ-ფანჯრებიც ხელ-ახლად შეღებეს. მართალია, სამკითხველო მდიდარი არ არის, მაგრამ წიგნები, განსაკუთრებით ქართული, მაინც საკმაოდ მოეპოვება. მოსდის აგრეთვე რამდენიმე ჟურნალი და გაზეთი.

ოჩხომურელი

ქუთაისის ქალაქის არჩევნები

კვირას, 9 ივნისს, დილის 9 საათზე, ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა ქუთაისის ამომრჩეველთა კრება, რომელსაც უნდა აერჩია ოთხი წლით (1902 წ.—1906 წ.). საბჭოს 60 ხმოსანი და 12 მათი კანდიდატი.

კრების გახსნისათანავე თავმჯდომარემ მოახსენა საზოგადოებას, რომ სიებით დასახელებულ იქნა 176 კაცი, რომელთაც 5 ხმაზე ნაკლები არ მიუღიათ, მაგრამ ამათგან ზოგმა უარი განაცხადა საარჩევნო ყუთის დადგმაზე წერილობით თუ სიტყვიერად, ზოგს ხმა არა ჰქონდა და გამორიცხულ იქნენ სიიდან, ზოგმაც დღეს განაცხადა ყუთის დადგმის სურვილი და ამგვარად დაიდგა სულ 118 ყუთიო. შემდეგ ქალაქის თავის წინადადებით გამგეობის მდივანმა ბ-ნმა დ. მდივანმა წაიკითხა წესდების ის მუხლები, სადაც ნაჩვენებია საქალაქო არჩევნების წესი. ამას მოჰყვა ასისტენტების დასახელება და შეუდგენ არჩევნებს, რომლის შედეგი ასეთი იყო: 118 კაცში, რომელთაც კენჭი იყარეს, არჩეულ იქნა მხოლოდ 57 (და არა 58 როგორც ტელეგრამაში შეცდომით ჰქონდა ნაჩვენები). აი მათი გვარები:

1) თოფურია სამსონ ბესარიონის ძე (ექიმი, სამკურნალოს დირექტორი, 312 თ.—98 შ.).

2) ჭილაძე ვარლამ ივანეს ძე (მემაღაზიე. ცეცხლისაგან დამზღ. საზოგ. აგენტი, 230 თ.—178 შ.).

3) დარახველიძე მიხეილ ერასტის ძე (ვექილი, 339 თ.—69 შ.).

4) ლორთქიფანიძე დავით არჩილის ძე (ქალაქის თავი, იურისტი 309 თ.—100 შ.).

5) საყვარელიძე ალექსანდრე სიმონიძე (ვექილი, 331 თ.—78 შ.).

6) კიზირია გიორგი ხახულის ძე (ვაჭარი, 239 თ.—170 შ.).

7) მახარაძე რომანოზ ქაიხოსროს ძე (ვაჭარი, 220 თ.—188 შ.).

8) ლორთქიფანიძე კირილე ბეჟანის ძე (საურთიერთო ნდობის ბანკის დირექტორი, 299 თ.—113 შ.).

9) ჯანელიძე ნიკიფორე მოსეს ძე (ვაჭარი, 228 თ.—183 შ.).

10) ხეჩინოვი სიმონ ივანეს ძე (ექიმი, 244 თ.—166 შ.).

11) ხელთუფლიშვილი დავით ბესარიონის ძე (ნაფიცი ვექილი, 311 თ.—99 შ.)

12) ფირალოვი სტეფანე პეტრეს ძე (ვაჭარი, 205 თ.—204 შ.).

13) აბდუშელიშვილი დავით ნიკოლოზის ძე (უმცროსი ნოტარიუსი, იურისტი, 233 თ.—176 შ.).

14) თუმანიშვილი პავლე ალექსანდრეს ძე (საურთიერთო კრედიტის ბანკის თავმჯ. 227 თ.—183 შ.).

15) ლორთქიფანიძე სიმონ ნიკოლოზის ძე (ექიმი, გუბერნიის თავად-აზ. წინამძღ. 289 თ.—122 შ.).

16) ბოკერია სამსონ გიორგის ძე (ვაჭარი, 216 თ.—194 შ.).

17) ქიქოძე მოსე ათანასეს ძე (ნაფიცი ვექილი. 218 თ.—191 შ.).

18) გამრეკელოვი გრიგოლ გიორგის ძე (უფროსი ნოტარიუსი, იურისტი, 254 თ.—157 შ.).

19) ზდანოვიჩი გიორგი ფელიქსის ძე (ჭიათურის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე, 282 თ.—126 შ.).

20) ჯაიანი ივანე პეტრეს ძე (საადგილ-მამულო ბანკის დირექტორი, 211 თ.—201 შ.).

21) ბახტაძე დიმიტრი მიხეილის ძე (ვაჭარი, 216 თ.—192 შ.).

22) ნაზაროვი დიმიტრი ალექსანდრეს ძე (ექიმი, 252 თ.—156 შ.).

23) ფიოფინოვი ალექსანდრეს ივანეს ძე (ოლქის სასამართლოს წევრი, 270 თ.—140 შ.).

24) წერეთელი სოლომონ იოსების ძე (ჭიათურის შავი-ქვის მრეწველი, 254 თ.—156 შ.).

25) პურადაშვილი ივანე ისაკის ძე (საურთიერთო კრედიტის ბანკის ბუხჰალტერი, 216 თ.—193 შ.).

26) აბზიანიძე იოსებ დიანოსის ძე (ქალაქის გამგეობის ბუხჰალტერი, 208 თ.—200 შ.).

27) მდივანი დავით ბესარიონის ძე (ქალაქის გამგეობის მდივანი, 261 თ.—148 შ.).

28) მაჭავარიანი ზაქარია კონსტანტინეს ძე (ნაფიცი ვექილი, 239 თ.—171 შ.).

29) ოცხელი იოსებ ივანეს ძე (სააზნაურო სკოლის ინსპექტორი, 267 თ.—142 შ.).

30) ბაქრაძე კონსტანტინე დიმიტრის ძე (ხეტყის მრეწველი, 255 თ.—155 შ.).

31) გუგუშვილი კონსტანტინე სიმონის ძე (ვაჭარი, 223 თ.—186 შ.).

32) ნანეიშვილი ალექსანდრე თეიმურაზის ძე (ჭიათურის მრეწველთა საბჭოს მდივანი. 263 თ.—145 შ.).

33) მიქელაძე ილარიონ ანტონის ძე (საადგილ-მამულო ბანკის მოლარე, 242 თ.—167 შ.).

34) პეტრიაშვილი ვასილ ივანეს ძე (პირველ დაწყებით საქალაქო სკოლის მმართველი, 207 თ.—203 შ.).

35) მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე (შავი ქვის მრეწველი, 224 თ.—185 შ.).

36) რელიგიონი ფრანც ანტონის ძე (მეაფთიაქე—პროვიზორი, 223 თ.—186 შ.)

37) ნიჟარაძე იასონ ნიკოლოზის ძე (ნაფიცი ვექილი, 208 თ.—199 შ.).

38) კანდელაკი ნიკიფორე მარკოზის ძე (გუბერნატორის კანცელარიის მდივანი, 258 თ.—151 შ.).

39) წიქარიძე თადეოზ თადეოზის ძე (ვაჭარი, 232 თ.—177 შ.)

40) ბარაბაძე ნესტორ სერგეის ძე (ვაჭარი, 238 თ.—171 შ.)

41) ბარქაია სიმონ უტუს ძე (ვაჭარი 206 თ.—203 შ.)

42) ჯაფარიძე სერგეი დავითის ძე (ნაფიცი ვექილი, 208 თ.—202 შ.)

43) ფონ-შულცი გიორგი ედუარდის ძე (ინჟენერი, 213 თ.—197 შ.)

44) ქორქაშვილი გიორგი ლევანის ძე (ექიმი, 262 თ.—146 შ.)

45) ქორქაშვილი მიხეილ ლევანის ძე (აფიცერი, 226 თ.—180 შ.).

46) წულუკიძე დავით გრიგოლის ძე (საურთიერთო ნდობის საზოგადოების მოლარე, 215 თ.—197 შ.).

47) დათეშიძე სამსონ ნიკოლოზის ძე (სააზნაურო სკოლის მასწავლებელი, 218 თ.—193 შ.).

48) გაბუნია ფარნა ბეჟანის ბე (ვაჭარი, 232 თ.—177 შ.).

49) ჩიკვაიძე კალისტრატე ნიკოლოზის ძე (ნაფიცი ვექილი 237 თ.—171 შ.)

50) კოკოჩაშვილი ლევან პეტრეს ძე (პროვიზორი, 267 თ.—139 შ.).

51) ბარათაშვილი გრიგოლ საჩინოს ძე (ნაფიცი ვექილი, 217 თ.—191 შ.).

52) ქორქაშვილი პეტრე ზურაბის ძე (ჟანდარმთა პოლკოვნიკი (სამსახურს გარეშე მყოფი) 217 თ.—189 შ.)

53) ჩიქოვანი ილია მანუჩარის ძე (ხარჯთ-ამკრები ინსპექტორი, 279 თ.—130 შ.).

54) ჭიჭინაძე პარმენ გაბრიელის ძე (ექიმი, 239 თ.—167 შ.).

55) კოკოჩაშვილი ვასილ პეტრეს ძე (მსაჯული, 248 თ.—161 შ.).

56) კოკოჩაშვილი ივანე პეტრეს ძე (პროვიზორი, 242 თ.—166 შ.).

57) ბოკერია გრიგოლ გიორგისძე (ვაჭარი, 222 თ.—188 შ.).

ამგვარად, როგორც ზემოდ ვსთქვი, ამორჩეულ იქმნა 57 ხმოსანი, რომელთაგან 24 ახალია; დანარჩენი სამი ხმოსანი და 12 კანდიდატი შემდეგში უნდა აირჩიონ.

დონ-ვალიანი

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება

(დასასრული)

თავმჯდომარე თ. ს. ნ. ლორთქიფანიძე ხსნის კრებას დილის 11 საათზე. მდივანი ნ. ა. ფურცელაძე კითხულობს წინა დღის ოქმს, რომელიც ცოტა შესწორების შემდეგ მტკიცდება.

ბანკის მმართველი ბ. მელნიკოვი სთხოვს საზოგადოებას: „რადგან ჩვენი ბანკის მოსამსახურეთ სხვა ბანკთან შედარებით ძლიერ ცოტა ჯამაგირი აქვთ, საჭიროა ცოტა ჯილდო მივცეთ მათ და წავახალისოთ. ამისათვის ჩვენ საუკეთესო შემთხვევა გვაქვს: წელს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს შეუსრულდა არსებობის ოცდა-ხუთი წელი. ამ დღის აღსანიშნავად მოსამსახურეების დაჯილდოვება ძლიერ სამართლიანი იქნება“. თან წარმოადგინა ანგარიში, ვის რა საჩუქარი უნდა მიეცეს. მისი წინადადება ასეთია: ვინც ხუთი წელი ემსახურება ბანკს, მიეცეს ჯილდოდ ერთი თვის ჯამაგირი; ვინც 10 წელი—ორი თვის ჯამაგირი, ვინც თხუთმეტი—სამი თვის, ვინც ოცი წელი—4 თვის, 25 წლის სამსახურისთვის მიეცეთ ნახევარი წლის ჯამაგირი; ამგვარად ყველა მოსამსახურეების დაჯილდოებას დასჭირდება 5,000 მანეთამდის.

თ. კ. ბეჟ. ლორთქიფანიძე: სრულიად ვეთანხმები ბ. მმართველის სამართლიან წინადადებას, მაგრამ, რადგანაც ბანკს შეძლება არა აქვს 5000 მანეთი ერთად გადაიხადოს, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ნაჩვენები რაოდენობა გავყოთ ხუთ ნაწილად და თითო წლის ხარჯთ-აღრიცხვაში 1000 მანეთი შევიტანოთ. ეს ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა და, მგონი, ამის წინააღმდეგი არავინ იქნება. (წინადადება მიღებულ იქმნა).

ი. ი. ოცხელი: ბატონებო! დიდად სასიამოვნოა ჩემთვის, რაც თქვენ ამ წამში სამართლიანად გადასწყვიტეთ: ბანკის 25 წლის არსებობა აღნიშნეთ მოსამსახურეთა დაჯილდოვებით. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, ბატონებო, ის სასწავლებელიც, რომელიც თქვენით სულდგმულობს და შვილებს გიზრდით. შარშან ამ სასწავლებელს შეუსრულდა არსებობიდან 20 წელი. ბევრი გაჭირვება გამოუვლია სასწავლებელს, ახლაც გაჭირვებულია ნივთიერად, მაგრამ რა შეედრება იმ გაჭირვებას, რომელშიაც იმყოფებიან ჩვენი სკოლის მასწავლებელნი, და რომელთაც შემდეგში კიდევ მეტი გაჭირვება მოელით. არ არის მათთვის არც ერთდროული ჯილდო, არც პენსია, არც მათი შვილების საზოგადოების ხარჯზე აღზრდა. ბევრი მასწავლებლისაგან გამიგონია გულსაწვავი სიტყვები: „ღამე რომ დავწვები, სრულიად ძილი არ მეკარება: სულ იმის ფიქრში ვარ, რა მომელის შემდეგში, რომ გამიჭირდეს რამე, რა ეშველება ცხოვრების ყოველ სახსარ მოკლებულ ჩემ ცოლ-შვილს! ვინ იქნება მათი პატრონი“. არიან ჩვენს სკოლაში ისეთი მასწავლებლები, რომელნიც სკოლის დაარსებიდანვე მსახურებენ; თავისი სიყმაწვილე, თავისი ძალ-ღონე ჩვენი სკოლისთვის შეუწირავთ და ეხლა, როდესაც აღარც ჯანმრთელობა აქვთ, აღარც სიხალისე, სულ იმის ფიქრში არიან, თუ რა მოუვა მათ ცოლ-შვილს შემდეგში. ბატონებო! რითაც შეგვიძლია, დავეხმაროთ მათ და ცოტათი მაინც შევუმსუბუქოთ მძიმე ტვირთი.

თავმჯდომარე: არა მგონია, იქნეს ისეთი ვინმე, რომ ამ წინადადებას არ თანაუგრძნოს, მაგრამ, საუბედუროდ, რადგან ამ კითხვას ჯერ ზედამხედველი კომიტეტის ხელში არ გამოუვლია, მაზედ სჯა წესდების ერთი მუხლის წინააღმდეგი იქნება. (საზოგადოება თხოულობს იყოს ამ კითხვაზე სჯა).

თ. დ. ი. ნიჟარაძე: ბ. ოცხელის აზრი დიდად სიმპატიურია; უსათუოდ ყურადღება უნდა მიექცეს ამ კითხვას, მაგრამ გარჩევაც უნდა იყოს: ვისაც რამდენ ხანს უმსახურია, ჯილდოც იმისდა-გვარად უნდა მიეცეს.

ი. ი. ოცხელი: თუ ყველას ვერ დავაჯილდოვებთ, ისინი მაინც დავაჯილდოვოთ, ვისაც 20 წელი უმსახურია.

გ. ს. თაყაიშვილი: მასწავლებლების ერთდროული დაჯილდოვება არ კმარა. საჭიროა დაარსდეს აქაც ის წესი, როგორიც ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელშია. იქ კი საქმე ასეა დაყენებული: ვინც ხუთ წელს იმსახურებს სკოლაში, მის წლიურ ჯამაგირს ემატება თხუთმეტი თუმანი; ვინც ათ წელს იმსახურებს, ემატება წლიურად ოცდა-ათი თუმანი; ათ წელს შემდეგ კი ეს მომატება შესწყდება. ეს კითხვა გადაეცეს გამოსაკვლევად სკოლის სამზრუნველო კომიტეტს და ეთხოვოს, რომ მომავალ კრებაზე წარმოგვიდგინოს თავისი აზრი.

თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე: მე ვფიქრობ, სანამ ჩვენ ამ წესს შემოვიღებდეთ, კარგი ხანი გაივლის და მასწავლებლები ისევ ისეთ ცუდ მდგომარეობაში იქნებიან, როგორც ახლა არიან. ხომ გაგიგონიათ: „შენს სულგრძელობას ჩემი დღეგრძელობა სჯობიაო“. ჩემი ფიქრით, ეხლა სააზნაურო სკოლაში ხუთ-ექვს კაცამდე იქნება, რომელთაც 20 წელი უმსახურიათ, დაღალულან, დაქანცულან; აი, ამათ ეხლავე ეჭირვებათ დახმარება, თორემ გაისამდის ეს კაცები იქნება კიდეც დაიხოცონ. რაც შეეხება მომავალს, ამისათვის საჭიროა დაარსდეს საპენსიო კასსა. უკანასკნელის განხილვა და მომავალ კრებაზე წარმოდგენა უნდა მიენდოს ზედამხედველ კომიტეტს.

თ. დ. გ წულუკიძე: თ. კირილეს აზრი ძლიერ სიმპატიურია: ჩვენი სკოლის მასწავლებელთ ესაჭიროებათ როგორც ერთდროული დახმარება, ისე მუდმივი; მაგრამ საქმე იმაშია, შეგვეძლება ამ აზრის განხორციელება, თუ არა. რომ შევპირდეთ იმ კაცებს დახმარება და შემდეგ ვერ დავეხმაროთ, ეგ არ ივარგებს. ჩვენი ბანკი ეხლა ისეთს გაჭირვებულ მდგომარეობაშია, როგორშიაც არასოდეს არ ყოფილა. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, შეუძლია გამგეობას, თუ არა ჩვენი გადაწყვეტილების შესრულება. რამდენიმე წლის წინათ ჩვენს საუკეთესო მამულიშვილს აკაკის დავუნიშნეთ ყოველ-წლიური პენსია; დახმარება აღვუთქვით აგრეთვე ნეტარხსენებულის დიმიტრი ყიფიანის შვილებს, მაგრამ ჩვენი აღთქმა აღთქმად დარჩა. აქედან ისა სჩანს, რომ გამგეობა ჩვენს გარდაწყვეტილებას არ ასრულებს ან ფულის უქონლობით, ან სხვა რამ მიზეზით.

დ. თ. დოლუა: მართალია, თ. აკაკის, ს. წერეთელს და სხ. დავუნიშნეთ შემწეობა, რომლის ნაწილი კიდეც მივეცით, მაგრამ მთლად, რაც არ გვქონდა, რას მივცემდით. გვიჩვენეთ, ბატონებო, წყარო და ჩვენ დიდის სიამოვნებით შევასრულებთ თქვენს გადაწყვეტილებას.

თ. ჯ. დ. გურიელი: ბატონებო, რაღას გვაწვალებთ ტყუილად, თუ არაფერი გვაქვს; წინდაწინვე გვითხარით და არც შევპირდებით სხვებს შემწეობას, თორემ რა საკადრისია შეპირება და მოტყუილება!

გ. ს. თაყაიშვილი: ზედამხედველი კომიტეტის მოხსენება საფუძველს არაა მოკლებული. თუ გაქვს, მიეცი, თუ არა და—რას იზამ, უნდა გაჩერდე; მე მგონია, მომავალი წელი უფრო ნაყოფიერი იქნეს და იქნება რამდენადმე მაინც შევასრულოთ ჩვენი სიტყვა; მაგრამ ეს ვერაფერი მანუგეშებელია, რომ გასავალი მატულობს იმ დროს, როდესაც შემოსავალი იკლებს. მარტო ბანკის გამგეობის შესანახად ამ წელში ნაანგარიშევია 40,000 მანეთამდის. ამნაირი ნაბიჯით თუ ვიარეთ, დადგება დრო, როდესაც სკოლის არსებობა აღარ იქნება; ძირითადისა და სათარიგო თანხის ხელის ხლება არ შეიძლება; ახალი შემოსავალი არაფერია; მთელი წლის გასავალი კი 50,000 მანეთს უდრის. რით უნდა დავფაროთ ეს ხარჯი! ასე, ბატონებო, ალალბედზე საქმის გადაწყვეტა არ შეიძლება.

თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე: სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა საჭირო არაა; შევიტანოთ ეს ვალი ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში; თუ მოვახერხეთ გადახდა, ხომ კარგი, თუ ვერა და—უნდა კიდევ მოვიცადოთ.

თ. დ. გ. წულუკიძე: უნდა შემოსავალ-გასავალი შევუფარდოთ ერთმანერთს (привести въ состоянiе баланса).

გ. ს. თაყაიშვილი: ჯერ უსათუოდ შემოსავლის წყარო უნდა დავასახელოთ. ყველა ჩვენი მოთხოვნილება რომ დავაკმაყოფილოთ, საჭიროა სულ უკანასკნელი 50,000 მან., ასეთი მოგება კი ყოვლად შეუძლებელია ამ წელში.

დ. თ. დოლუა: 50,000 მან. კი არა, 55,000 მანეთია საჭირო, რაც, რასაკვირველია, წელს ბანკს არ ექნება.

თ. კ. დ. ერისთავი: როდესაც დირექტორებისა და ბანკის სხვა მოსამსახურეების დაჯილდოვებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, კაცს ხმა არ ამოუღია წინააღმდეგ; ყველამ „მივცეთო“ დაიძახა; როდესაც მასწავლებელთა დახმარების შესახებ წამოაყენეს კითხვა, მაშინ კი ყველა იმას ამბობს, ბანკს არ ექნება იმდენი შემოსავალი, რომ მასწავლებლები დავაჯილდოვოთო. ეს უსამართლობაა, ბატონებო! თუ ყველას დაჯილდოვება არ შეგვიძლია, ისეთები უნდა დავაჯილდოვოთ, ვინც უფრო ღირსი არიან. ასეთებათ კი მე მასწავლებლები უფრო მიმაჩნია, ვიდრე სხვა ვინმე.

სკოლის სამზრუნველო კომიტეტს ეთხოვა ეხლავე წარმოადგინოს ანგარიში, ვის რა ჯილდო უნდა მიეცეს.

თავმჯდომარე გადადის კერძო თხოვნების განხილვაზე.

თ.დ. ი. ნიჟარაძე თხოულობს ზედამხედველმა კომიტეტმა თავისი აზრი წარმოსთქვას ყოველი კერძო თხოვნის შესახებ. ამ თხოვნაში საყურადღებო იყო თ. აკაკი წერეთლის თხოვნა. როგორც მოგეხსენებათ, ამ 14 წლის წინათ თავად-აზნაურობამ დაუნიშნა ჩვენს მგოსანს ყოველ წლიურად 1,500 მან., რაც ამ 14 წლის განმავლობაში შეადგენდა 21,000 მანეთს. 1899 წლის კრებაზე საზოგადოებამ ხელ-ახლად დაავალა გამგეობას, რომ თ. აკაკისთვის თავის დროზე ეძლია როგორც დარჩენილი, ისე ახალი წლების ჯილდო. დღემდის გამგეობას მიუცია მისთვის 11,000 მანეთი, დარჩენილა 10,000 მანეთი. ეხლა თავ. აკაკი თხოვს თავად-აზნაურობას განუთავისუფლოს ბანკის ვალისაგან მისი დ̃ მისი შვილის მამული, რომელთაც აწევს 12,000 მანეთი ვალი; შემდეგში კი ის პენსიაზედ უარს აცხადებს. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა.

დ. ყიფიანის შვილის-შვილი (ქალი), რომელსაც წელს დაუსრულებია სწავლა, სთხოვს საზოგადოებას, რომ მიეცეს მას 3 წლის წინად ბანკისაგან დანიშნული შემწეობა (ყოველწლიურად 300 მ.), რომლისგანაც მას მხოლოდ 30 მანეთი მიუღია. (გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის დასკვნა არაა ამის შესახებ.)

ს. დ. ჯაფარიძის წინადადებით დადგენილ იქმნა ეხლა მიეცეს მთხოვნელს 300 მანეთი, დანარჩენის შესახებ კი უსაშუალობის გამო კითხვა გადაუწყვეტელი დარჩეს.

სულ-მნათის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზე დაარსებული წიგნთ-საცავის გამგე ქ-ზნი ჯინოვისა სთხოვს საზოგადოებას ერთდროულ შემწეობას.

თხოვნა უსაშუალობის გამო არ შეიწყნარეს.

შემდეგ წაიკითხეს სრულიად კერძო თხოვნები; საზოგადოებას თხოვენ ბანკის ვალის პატიებას. საზოგადოება გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს სთხოვს წარმოადგინოს თავისი დასკვნა ამ თხოვნების შესახებ. უკანასკნელს არავითარი დასკვნა არა აქვს.

ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე დ. თ. დოლუა: რადგანაც ეს თხოვნები მხოლოდ გუშინ და გუშინ-წინ შემოვიდა, ამიტომ გამგეობამ და კომიტეტმა თავისი დასკვნის წარმოდგენა ვერ მოასწრო.

თავმჯდომარე: ისეთი თხოვნები, რომელიც კრებამდის ერთი კვირით ადრე მაინც არაა წარმოდგენილი და განხილული, წესდების ძალით, არც კომიტეტს უნდა წარმოედგინა კრებაზე. ჩემის ფიქრით, ამაში კომიტეტი დამნაშავეა.

მთელი საზოგადოება გაცხარებულია; ისმის ყვირილი; თხოულობენ ყველა თხოვნების შეუწყნარებლად დატოვებას, გარდა საა-

ზნაური სკოლისა, აკაკისა და დ. ყიფიანის შვილის-შვილის თხოვნებისა. ზედამხედველი კომიტეტის წევრი თ. ფაღავა უკმაყოფილოა კითხვის ამგვარად გადაწყვეტით; თავმჯდომარე ამშვიდებს საზოგადოებას და ხელ-ახლად ეკითხება, შეწყნარებულ იქმნას თუ არა კერძო თხოვნები. საზოგადოება იწყნარებს მხოლოდ ზემოდ ნაჩვენებ სამ თხოვნას, დანარჩენებს უყურადღებოდ სტოვებს.

შემდეგ სააზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტმა წარმოადგინა პროექტი, როგორ უნდა დაჯილდოვდნენ მასწავლებლები. ეს პროექტი შემდეგია: ვისაც 5 წელი უმსახურნია სკოლაში, მიეცეს ჯილდოთ ერთი თვის ჯამაგირი, ვისაც 10 წელი—2 თვის ჯამაგირი, ვისაც 15 წელი—3 თვის, ვისაც 20 წ.—4 თვის; ვისაც 20 წელზე მეტი უმსახურია, იმას კი 6 თვის; ამ ხარჯის მთელი ჯამი შეადგენს 4,000 მანეთს. პროექტი მიღებულ იქმნა.

შემდეგ ასახელებენ დირექტორებად სამ კანდიდატს: თ. ნ. დ. ერისთავს, ივ. ჯაიანს და ვ. ნ. აბულაძეს. თავმჯდომარე სთხოვს ასისტენტობას მ. ე. დარახველიძეს. გამგეობის მომხრეები ასახელებენ თ. დ. ო. ნიჟარაძეს.

თ. დ. ო. ნიჟარაძე (თავმჯდომარეს): თქვენო ბრწყინვალებავ! მიმიღებთ თუ არა მე ასისტენტად?

თავმჯდომარე: მე მაქვს უფლება, ვინც მინდა, ის დავნიშნო ასისტენტად; მე უკვე ვთხოვე ბ-ნს დარახველიძეს და მაშ თქვენი შენიშვნა უადგილოა.

კენჭის ყრამ ასეთი შედეგი მოგვცა: ვ. ნ. აბულაძემ მიიღო 119 თეთრი, 62 შავი; ი. პ. ჯაიანმა—107 თეთრი, 73 შავი; თ. ნ. დ. ერისთავმა—78 თეთრი, 102 შავი. ამგვარად არჩეულ იქმნენ: ახალი წევრი ვ. ნ. აბულაძე და ძველი ი. პ. ჯაიანი, გამგეობის წევრების კანდიდატებად აირჩიეს თ. ბეჟ. დავ. წერეთელი (124 თ.—40 შ.), კონ. რამ. გოცირიძე (108 თეთრი, 56 შ.) და ს. მ. ამირაჯიბი (98 თეთრი, 66 შავი).

ზედამხედველ კომიტეტის წევრებად კენჭის იყარეს: ძველებმა: 1) ლ. თ. ლოლუამ (მიიღო 45 თეთრი, 119 შავი); 2) გრ. საჩ. ბარათაშვილმა (82 თ.—82 შ.) 3) სპ. ბ. ჯორჯიკიამ (69 თ.—95 შ.), 4) თ. მ. გ. ფალავამ (103 თ. 61 შ.), 5) ვლ. ზ. ჩაჩიბაიამ (47 თ.—117 შ.), ახლებმა: 6) თ. ს. ნ. ლორთქიფანიძემ (102 თ.—62 შ.), 7) თ. სვ. გ. წერეთელმა (115 თ.—49 შ.); 8) დ. არჩ. ლორთქიფანიძემ (127 თ.—37 შ.); 9) ა. თ. ნანეიშვილმა (115 თ.—49 შ.); 10) ს. დ. ჯაფარიძემ (108 თ.—56 შ.), ამგვარად არჩეულ იქმნა 5 ახალი და ერთი ძველი წევრი.

ასე გათავდა არჩევანები. გაიმარჯვა ოპოზიციამ, რასაც ყველანი სიხარულით ულოცავდნენ.

დონ-ვალიანი.

უცხოეთის წვრილი ამბები

საკვირველი შეხვედრა. ერთი ამერიკული გაზეთი ერთს ამბავს გადმოგვცემს, რომელიც ეხლახან ჩიკაგოში მოხდა.

ბ. ფრანკ შემაკერი ფილადელფიიდან, ბ. ფრანკ შემაკერი სან-ლუიდან და ბ. ფრანკ შემაკერი ქალაქ ბიუტიდან, რომლებიც არც ნათესავები იყვნენ ერთმანეთისა, არც თავის დღეში ენახათ ერთმანეთი და არც წარმოედგინათ, რომ იმათი გვარის ხალხი სხვაც არის, ერთს სასტუმროში ჩამოხტნენ.

ცოტა ხნის შემდეგ შემაკერს, რომელიც ქალაქ ბიუტიდან იყო, ვნახოთ, „სუნნელოვანი“ წერილი მოუვიდა. ხელი ვერ იცნო, გახსნა წერილი და ხედავს, რომ ვიღაც ქალი, რომელიც იმას თავის დღეში არ უნახავს და არც იცნობს, ნაზის, მთრთოლავის გულის ძგერით მწველ სიყვარულს უცხადებს. გადაირია კაცი! ადგა და საჩქაროთ ეს წერილი ფოსტაში დააბრუნა, საიდანაც ის მეორე შემაკერს, რომელიც სან-ლუიდან იყო, გაუგზავნეს ზედ წარწერით: „შეცდომით გახსნილია“.

აქაც ისევე მოხდა, რაც პირველს შემთხვევაში.

ბოლოს, ფილადელფიელ შემაკერს მისდის ეს ყოვლად უბედური „სატრფიალო წერილი“, რომელსაც მოუთმენლად ელოდა. დაუწყო თვალიერება წითელის და ლურჯი კარანდაშებით დანიშნულს ზედ-წარწერას და სულ გამოშტერდა...

ერთი საათის შემდეგ ეკიპაჟების პატრონმა წარუდგინა ამ შემაკერს ანგარიში რვა დოლარი (დოლარი-ორი მანეთია). ამას, რაც ჩიკაგოში მოვიდა, ეკიპაჟით არსად არ გაუვლია და მთლად გადაირია ანგარიშის დანახვაზე. მივარდა ეკიპაჟების პატრონს და დაუწყო ლანძღვა; იმან ბოდიში მოიხადა. მაშინ ფილადელფიელმა შემაკერმა შეიტყო, რომ იმავე სასტუმროში, რომელშიაც ისა სცხოვრობს, სდგას იმისი გვარის კაციც. ანგარიში ახლა იმ შემაკერს წარუდგინეს, რომელიც სან-ლუიდან იყო, აქაც ის ამბავი დატრიალდა, რადგანაც ფული მესამე შემაკერს უნდა გადაეხადა.

გარდა ამისა სან-ლუიელმა შემაკერმა ორივე თავის მოგვარის ბარგი მიიღო, ხოლო შემაკერს, რომელიც ბიუტიდან იყო, უსიამოვნება მოუვიდა მრეცხავ დედაკაცთან, რომელმაც ფილადელფიელი შემაკერის ანგარიში იმას წარუდგინა.

სამივემ გადაწყვიტეს, ეს ეს სასტუმრო მიეტოვებინათ; ფილადელფიელ შემაკერს, რომელმაც ამ სასტუმროში მხოლოდ ერთი დღე დაჰყო, სასტუმროს ბიურომ ოცდა თვრამეტი დოლარი (76 მანეთი) დანახარჯი წარუდგინა. სან-ლუიელი შემაკერი, რომელიც პატარა ხანს უკან მოვიდა ბიუროში, სიხარულით ფეხზე არ იდგა, რადგანაც ის ცხრამეტი დღე მზა-მზარეულზე სცხოვრობდა ამ სასტუმროში და მხოლოდ ოთხი დოლარი დანახარჯი წარუდგინეს. ბოლოს, როგორც იყო, მთლად დაფანტულმა სასტუმროს მოხელემ სამივეს ერთად მოუყარა თავი, და მაშინ ძლივ-ძლივობით გამოარკვიეს, ვის რა უნდა გადაეხადა.

* *

იტალიის შესანიშნავი ავაზაკი მუზოლინო. ეხლახან გაარჩიეს იტალიაში ავაზაკ მუზოლინოს საქმე, რომელმაც მთელი ქვეყანა ააყაყანა. აი, რამდენიმე ცნობა იმ ავაზაკზე:

ამ დაუდეგარმა კაცმა რამდენიმე მხეცური მკვლელობა ჩაიდინა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო და არა გაძარცვის აზრით.

მუზოლინო 27 წლისაა. პირველი დანაშაულობის ჩადენამდის, რომელიც იმან ოც-და-ორის წლისამ ჩაიდინა, ის ხელობით დურგალი იყო. პირველი დანაშაულობისათვის იმას ციხე გადაუწყვიტეს 1899 წელს იანვარში, მაგრამ ციხიდან გამოიქცა და ხელი მიჰყო საშინელს ავაზაკობას.

29 იანვარს 1899 წ., 20 დღის შემდეგ, რაც ციხიდან გამოიქცა, იმან თოფით მოჰკლა მოწმის ცოლი, რომელმაც სასამართლოში იმის წინააღმდეგ აჩვენა.

15 მკათათვეს იმავე წლისა იმან თოფით მოჰკლა ვინმე სარაჩინო ეჭვით, რომ ის იმას თვალ-ყურს ადევნებდა.

7 აგვისტოს იმან მოჰკლა თოფით ვინმე ცოკოლი, იმიტომ, რომ ის იყო იმ მოწმის ძმა, რომელმაც მუზოლინოს წინააღმდეგ საგულისხმო საბუთები წარმოაყენა.

19 აგვისტოს ორის სროლით მოჰკლა პოლიციის აგენტი, რომელიც ხელს უწყობდა იმის დაჭერას.

10 ოქტომბერს ხანჯლით მოჰკლა მწყემსი, რომელიც დაეხმარა ცხენოსან ჯარის კაცებს იმის დაჭერაში.

6 თებერვალს 1900 წელს იმან მოჰკლა ერთი ჯარის კაცი, რომელიც იმას მთებში თვალ-ყურს ადევნებდა.

ბოლოს, 9 აგვისტოს 1900 წელს მუზოლინომ რამდენიმე სროლით დაჭრა თავის ამხანაგი ავაზაკი, რომელზედაც ეჭვი აიღო, რომ მღალატობსო.

საბრალმდებლო ოქმი შემდეგ დანაშაულობას აბრალებს მუზოლინოს:

6 კაცის კვლა წინად განზრახულის მოსაზრებით, 4 მოკვლის განზრახვა, ერთი მკვლელობა მიმსგავსებით: ცეცხლის წაკიდება, დინამიტით აფეთქება, გაძარცვა, თავდასხმა, აკლება და სხვ.

დამცველნი სთხოვდნენ მოსამართლეთ შეღავათ მიეცათ ავაზაკისათვის, რადგანაც ის ავადმყოფი კაცია მაგრამ სასამართლომ არავითარი შეღავათი არ მისცა და გაასამართლა ყოველივე საბრალმდებლო მუხლით. ამ დადგენილების თანახმად მუზოლინოს გადაუწყვიტეს მთელი სიცოცხლით მადნებში მუშაობა, ამასთან, როგორც კანონადა აქვთ იტალიაში, ამისთანა დამნაშავეთ რვა წლით მარტო დაამწყვდევენ სასტიკის ზედამხედველობის ქვეშ შევიწროებულს, ასე რომ უმეტესი ნაწილი ავაზაკებისა ან ჭკუიდან იშლებიან, ან არა და თუ დარაჯებმა ყური არ უგდეს, თავს იკლავენ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივნისი

პეკინი. ამერიკელი მისიონერი გენრაიტი დეპეშით იუწყება ჩენგტუდან, რომ სამლოცველო დაანგრიეს და ათი ქრისტიანი მოჰკლეს. მოკრივეთა მოძრაობა მატულობს.

ლონდონი. მეფე-დედოფალმა სადღესასწაულო სადილი გაუმართეს სტუმრებს.

ლონდონი. მეფის ავადმყოფობის გამო, გვირგვინის კურთხევის დღესასწაული სხვა დროისთვის გადაიდვა.

ლონდონი. ოფიციალური ბიულეტენი. მეფე მუცლის ანთებით არის ავად. შაბათს ისე კარგად იყო, რომ იმედი მიეცათ, გვირგვინის კურთხევა შესდგებოდა, მაგრამ გუშინ ცუდად შეიქნა; დღეს ოპერაცია საჭიროა.

ლონდონი. მეფეს ოპერაციას გაუკეთებენ ნაშუადღევის ორ საათზე. ლორდ-მარშალმა მიიღო მეფისაგან ბრძანება, გამოაცხადოს სინანული, რომ ავადმყოფობის გამო გვირგვინის კურთხევა უნდა გადაიდვას. ამასთან ყველა დღესასწაულები გადაიდება ლონდონში, მხოლოდ მეფეს იმედი აქვს, რომ პროვინციაში შესდგება დღესასწაული.

პარიზი. რუსეთის საელჩოში თავადი ურუსოვის საპატიო თავმჯდომარეობით შესდგა რუსეთის საქველ-მოქმედო საზოგადოების წლიური საზოგადო კრება. ეს საზოგადოება ეხმარება რუსეთის ღარიბ ქვეშევრდომთ შინ დაბრუნების საქმეში, ანუ ფულით შემწეობას აძლევს, ან ტანისამოსით, უჩენს ბინას და სამუშაო იარაღს აძლევს. კრებამ განუცხადა მადლობა კომიტეტის თავმჯდომარეს სვეჩინს და ხაზინადარს საგენერალო კონსულს კარცევს.

ბერლინი. პატარა გემი №-42, რომელიც ინგლისის გემმა გადააბრუნა ელბას შესართავში, წყალმა დაძირა. კამანდირი და სამი მატროსი უგზო-უკვლოდ გაჰქრნენ.

დრეზდენი. დიდი მთავარი ალექსეი ალექსანდრესძე მოვიდა.

კრონშტადტი. რეველიდან მოვიდა საფრანგეთის სამხედრო გემი „დიუგეი ტრუენ“, რომლით მოგზაურობენ ფრანგი კადეტები.

ლონდონი. როდესაც დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ ჩაუარა ჩრდილოეთ კანდელს, ბრიტანიის ჯავშნიანმა გემმა „იმმორტალიტე“-მ სამხედრო სალამი მისცა და 21-ჯერ ზარბაზანი დასცალა; გემმა „სვეტლანა“-მ უპასუხა.

ყაზანი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით პირველი სხდომა ჰქონდა იმ კომიტეტს, რომელმაც ორს ადგილას გაჩენილ ცეცხლისაგან დაზარალებულთ შემწეობა უნდა აღმოუჩინოს. დაიწვა 300 სახლზე მეტი.

ბორისოგლებსკი. მოვიდა საოცარი სეტყვა, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ნათესობას. სეტყვამ დიდი ვნება მოუტანა საქონელს და კაცებიც ბევრნი დააშავა.

ვარშავა. ვარშაველ წიგნის ვაჭართა საზოგადო კრებამ გადასწყვიტა, საქმე აღარ დაიჭიროს საზღვარ გარეთის წიგნის საკაზმავ სახელოსნოებთან, არამედ ისარგებლოს ადგილობრივ სახელოსნოებით.

ლონდონი. ხელმწიფე მემკვიდრე ლონდონში მოვიდა. ვიქტორიას სადგურზე მის იმპერატორებით უმაღლესობას დაჰხვდნენ პრინცი უელსისა და დიდი მთავარი მიხეილ მიხეილის ძე.

პეტერბურგი. 10 ივნისს მოვიდა პეტერბურგში მემკვიდრე პრინცი ფრიდრიხ ალექსანდრე ანგალტდესსაუსისა მეუღლით მარიამითურთ და იმავე დღეს მოსკოვში წავიდა.—„კანონთა კრებულ“-ში დაბეჭდილია: „ფინანსთა მინისტრმა აცნობა უმართებულესს სენატს გამოსაქვეყნებლად, რომ გამოიცემა ხუთი ახალი სერია სახელმწიფო ოთხ-პროცენტიან რენტისა ამა 1902 წლის პირველ მარტის კუპონებით მოსკოვ-იაროსლავ-არხანგელსკისა და მოსკ-ივანოვსკის რკინის გზების ოთხ-პროცენტიან ობლიგაციების გამოსაცვლელად“.

12 ივნისი

პეტერბურგი. 20 ივნისს მიაქვდენ მისის უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის კირასირის პოლკის შტანდარტს, რომელიც უმაღლესად ებოძა ამ პოლკს მისის არსებობის ორასის წლის დღესასწაულზე.

ლონდონი. მეფეს ოპერაცია კარგად გაუკეთეს; დიდი იარა მოაშორეს. ოპერაცია კარგად გადიტანა მეფემ; საკმაოდ კარგად გრძნობს თავს.

ლონდონი. ბალფურმა განაცხადა, რომ მეფის ჯანმრთელობის შესახებ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ, მეფეს გაუკეთეს ოპერაცია, რომელმაც მშვენივრად ჩაიარა, მეფის ჯანმრთელობა ისეთია, რომ უკეთესის ნატვრა არ შეიძლება.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ რთიში არის ერთი ავადმყოფი იმითვე, რითაც მეფეა ეხლა ავად, და ეს ავადმყოფი აგერ 4—5 კვირაა ლოგინში წევს. უცხოელ სტუმართა წასვლის შესახებ ჯერ არაფერი არ გადაწყვეტილა; როგორც ხმა დადის, ეს გადაწყდება მაშინ, როცა მეფის ოპერაციის შესახებ გამორკვეული ცნობები გამოქვეყნდება. ოფიციალურ წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ მეფის მდგომარეობა საკმაოდ ჩამაფიქრებელი უნდა იყოს, თორემ ახალა ოპერაციას არ გაუკეთებდნენ.

ლონდონი. ნაშუადღევის 3½ საათზე მიღებულია ცნობა, რომ მეფე უკეთ არის.

ლონდონი. ბიულეტენი საღამოს 6 საათსა და 40 წუთზე: „მეფე უკეთ მდგომარეობაში მიდის. ოპერაციის გაკეთებით თვალსაჩინოდ შეუმსუბუქდა მდგომარეობა“.

ლონდონი. ხალხის მწუხარება მეფის ავადმყოფობის გამო აუწერელი იყო, როდესაც ლონდონში ამაზე ხმა გავარდა. სადღესასწაულოდ მომზადებული ხალხი შიშმა შეიპყრო. ლორდთა პალატაში სალისბიურიმ გამოსთქვა მწუხარების გრძნობანი და აუწყა, რომ საუკეთესო შემთხვევაში რამდენიმე კვირა გაივლის, ვიდრე მეფე მორჩება. დეპუტატთა პალატაში უღრმესი მღელვარების დროს მეფის ავადმყოფობაზე ილაპარაკა ბალფურმა.

ლონდონი. საღამოს 11 საათზე გამოიცა ბიულეტენი: „მეფის მდგომარეობა იმდენად კარგია, რამდენადაც შეიძლებოდა იმედი ჰქონდათ შემდეგ ასეთის მძიმე ოპერაციისა. ტკივილები შეუსუსტდა. მისმა უდიდებულესობამ ცოტა რამ სჭამა. ჯერ კიდევ რამდენიმე დღე გაივლის, ვიდრე შესაძლებელი იქნება ითქვას: მეფეს საშიში არა უჭირს-რა“.

სოფია. სახალხო კრების თავმჯდომარემ ცანკოვმა აუწყა კრებას თავის მოგზაურობა რუსეთში და სთქვა, რომ ის იყო მოწამე ნამდვილი სიმპატიისა, რომელიც რუსებს აქვთ ბულგარიის ხალხისადმი. მთავრის მოგზაურობამ განამტკიცა კავშირი რუსეთსა და ბულგარიას შუა. ეს კავშირი საწინდარია ბულგარიის ბედნიერის მომავლისა. სიტყვას ალტაცებით მიეგებნენ.

ბელგრადი. უსკიუბში, რუსეთის საელჩოს მისაღებ ოთახში, თანამდებობიდან დათხოვნილმა ჟანდარმმა მოჰკლა კოსოვსკის ვილაიეტის ჟანდარმერიის უფროსი.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარეთ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ქვის
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გერის მოედანზე, ვაგზალთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**
შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 (**კაპ.**).
ტელეფონი **№ 754.** (.წ).